



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება №59

30 ივლისი 2018 წ.
ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 29/01/2018, 010250050.35.163.016385) შეტანილ იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (გარდა 43¹ და 43² მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისა) და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.“

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე